

03 | ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება

ადამიანის უფლებათა
ევროპული
სასამართლოს
პრაქტიკა



Guerra and Others v. Italy (1998)

ფაქტობაი

ქალაქ მანფრედონის მაცხოვრებლები სასუქების მწარმოებელი ქიმიური ქარხნიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდნენ. ქარხანაში სხვადასხვა დროს რამდენიმე ავარია მოხდა. 1976 წელს ერთ-ერთი ავარიის დროს ამიაკის სინთეზური აირების გამწმენდი კომპურა აფეთქდა. მოსახლეობა გაფრთხილებული არ იყო საფრთხის შესახებ.

სადავო საკითხი

ქალაქის მაცხოვრებლები დავობდნენ, რომ იტალიის მთავრობამ არ მიაწოდა მათ ინფორმაცია იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც მოსახლეობას ქარხნის სიახლოვეს ცხოვრებით ექმნებოდათ. ასევე, მათ არ მიეწოდათ ინფორმაცია ავარიებისა და დაბინძურებით ჯანმრთელობისთვის შექმნილი რისკების შესახებ.

სადავო უფლებები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები:
მე-2 მუხლი - სიცოცხლის უფლება
მე-8 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება
მე-10 მუხლი - გამონატვის თავისუფლება

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებელთა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

სასამართლომ განმარტა, რომ გარემოს მძიმე დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პირთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს საცხოვრებელი სარგებლობას, რაც უარყოფითად აისახება მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე.

ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლის ფარგლებში სახელმწიფო ვალდებული იყო, პირებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია დაბინძურების შესახებ. განმცხადებლებმა კი ინფორმაცია საფრთხეებისა და რისკების შესახებ მძიმე ავარიიდან 18 წლის დაგვიანებით (1994 წელს), ქარხანაში სასუქების წარმოების შეწყვეტის შემდგომ მიიღეს.

სიცოცხლის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ დამატებით აღარ იმსჯელა, ვინაიდან დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა.

მე-10 მუხლთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ეს მუხლი არ მოითხოვს სახელმწიფოებისგან ინფორმაციის აქტიურად მიწოდებას ან გარემოსდაცვით მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფას. ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება სახელმწიფოს მე-8 მუხლის ქვეშ ჰქონდა.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა

სასამართლო გადაწყვეტილებით განმტკიცდა, რომ გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო ვალდებულია, პირებს სათანადოდ და ღროულად მიაწოდოს ინფორმაცია საფრთხეებისა და რისკების შესახებ.

López Ostra v. Spain (1994)



ფაქტები

ესპანეთში ქალაქ ლორკას ერთ-ერთი მაცხოვრებელი ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის სიახლოვეს ცხოვრობდა და, შესაბამისად, სუნი, ხმაური და გამონაბოლქვი აწუხებდა. სახელმწიფო ორგანოებმა მას არც კომპენსაცია გადაუხადეს და განსახლებაც არ მომხდარა. პირის ჯანმრთელობა არ დაზიანებულა.

სადავო საკითხი

განმცხადებელი დავობდა, რომ ირღვეოდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ვინაიდან ის ქარხნის საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა და სახელმწიფო არაფერს აკეთებდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები:

მე-2 მუხლი - სიცოცხლის უფლება

მე-8 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

სასამართლოს გადაწყვეტილება

გარემოს დაბინძურებამ შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს პირის კეთილდღეობაზე, ხელი შეუშალოს მას საცხოვრებელით სარგებლობაში და, შესაბამისად, გავლენა იქონიოს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე. სასამართლომ განმარტა, რომ ამ უფლების დარღვევის დასადგენად აუცილებელი არ არის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნა.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი და მისი ოჯახი იძულებულნი იყვნენ, სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოეთმინათ ქარხნის ფუნქციონირებით გამოწვეული უსიამოვნება. სამი წლის შემდეგ განმცხადებლებმა საცხოვრებელი თავადვე შეიცვალეს, ვინაიდან მუნიციპალიტეტმა მათ საცხოვრებლის არაადეკვატური ალტერნატივა შესთავაზა.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი საფრთხე არ შექმნია, სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან მას უწევდა, რომ უსიამოვნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აეტანა. მე-2 მუხლის დარღვევის კრიტერიუმები არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა

გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ უფლების დარღვევად შესაძლოა მიიჩნეოდეს ხმაურით, სუნითა და გამონაბოლქვით პირის შეწუხება და აუცილებელი არ არის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნა.

Cordella and Others v. Italy (2019)



ფაქტობაი

იტალიის ქალაქ ტარანტოში ფოლადის ქარხანა ფუნქციონირებდა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენდა. წლების განმავლობაში სხვადასხვა სამედიცინო დასკვნა ადასტურებდა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემები ქარხნის მუშაობას უკავშირდებოდა, თუმცა, სახელმწიფო არ დგამდა შესაბამის ზომებს ზიანის თავიდან ასაცილებლად. მოსახლეობას არ მიეწოდა ინფორმაცია დაბინძურებისა და ჯანმრთელობისთვის შექმნილი რისკების შესახებ. ასევე, არ არსებობდა კანონმდებლობა, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიებები. ეროვნული სასამართლო პროცესი დროში გაიწელა.

სადავო საკითხი

განმცხადებლები დავობდნენ, რომ ქარხნიდან გაფრქვეულ დამაბინძურებელ ნივთიერებებს მძიმე უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდა გარემოზე და ზიანდებოდა მათი ჯანმრთელობა, სახელმწიფო კი ვერ უზრუნველყოფდა მათი უფლებების დაცვას.

უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები:

მე-2 მუხლი - სიცოცხლის უფლება

მე-8 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

მე-13 მუხლი - სამართლებრივი დაცვის ქმედითი მექანიზმის უფლება

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ დაადგინა, რომ ხანგრძლივმა დაბინძურებამ საფრთხე შეუქმნა პირთა ჯანმრთელობას, კერძოდ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ყველა განმცხადებელს არ მიანიჭა მსხვერპლის სტატუსი და განსაზღვრა შესაბამისი კრიტერიუმები. კერძოდ, მხოლოდ ის პირები მიიჩნია მსხვერპლებად, რომლებიც ცხოვრობდნენ კონკრეტულად იმ ქალაქში, სადაც არსებობდა მაღალი გარემოსდაცვითი რისკები. ამის საპირისპიროდ, მსხვერპლის სტატუსი არ მიენიჭათ იმ განმცხადებლებს, რომლებიც არა ქალაქში, არამედ მის სიახლოვეს ცხოვრობდნენ.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ განმცხადებლებს ხელი არ მიუწვდებოდათ უფლების დაცვის ეფექტიან მექანიზმებზე. კერძოდ, სახელმწიფოში არ არსებობდა შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც დაბინძურების აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებებს განსაზღვრავდა და პირებს არ ჰქონდათ საშუალება ამ ფაქტთან დაკავშირებით საჩივრით მიემართათ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსთვის.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა

გადაწყვეტილებაში გაჩნდა „პოტენციური მსხვერპლისა“ და „პოტენციური საშიშროების“ ტერმინები. განიმარტა, რომ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელი არაა უშუალოდ ზიანი იყოს სახეზე. ამ უფლებით დაცული სფეროს ქვეშ მოიაზრება ზიანის მიყენების საფრთხის შექმნაც.

შესაბამისად, სასამართლომ მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევა დაადგინა და სახელმწიფოს ზიანის გამოსწორება და ტერიტორიის გასუფთავება დაავალა.

Verein KlimaSeniorinnen Schweiz v. Switzerland (2024)



ფაქტები

შვეიცარიის პარიზის შეთანხმების ფარგლებში მიღებული ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული ჰქონდა სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების კონკრეტული მიზნები. „ხანდაზმული ქალების ასოციაცია“ მიიჩნევდა, რომ შვეიცარიის მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ იყო საკმარისი ამ მიზნების მისაღწევად.

სადავო საკითხი

განმცხადებლები დავობდნენ, რომ სახელმწიფოს ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების გამო კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სითბური ტალღები მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენდა მათი და მომავალი თაობების ჯანმრთელობისთვის.

უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლები:

მე-2 მუხლი - სიცოცხლის უფლება

მე-8 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ დაადგინა, რომ შვეიცარიამ ვერ შეასრულა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოზიტიური ვალდებულებები, ვინაიდან ვერ აღმოფხვრა კლიმატის ცვლილების სფეროში შვეიცარიის ეროვნულ მარეგულირებელ ჩარჩოში არსებული ხარვეზები და ვერ მიაღწია სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების მიზნებს.

მართალია, კანონმდებლობისა და შესაბამისი ზომების შემუშავებისა და მიღების კუთხით, სახელმწიფო ორგანოებს აქვთ ფართო დისკრეცია, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში შვეიცარიის ხელისუფლებამ არ იმოქმედა დროულად და სათანადოდ.

მომავალი თაობების სახელით დავასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ „მსხვერპლის სტატუსის“ კრიტერიუმებს, რადგან პირდაპირი და უშუალო ზიანი ფიზიკურად ვერ მიაღებათ ადამიანებს, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან და დავა მხოლოდ თავად ასოციაციას შეეძლო. სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა

ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო და დაადგინა, რომ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას გარემო, მათ შორის, კლიმატის ცვლილებისგან. ამისთვის, ის ვალდებულია შეასრულოს ის მიზნები, რაც მას დასახული აქვს სათბურის აირების გაფრქვევების შემცირებისთვის. მან, ასევე, დაადგინა, რომ ასოციაციას აქვს უფლება, იდავოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)
და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით.
მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა,
არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

